ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6286007

ნომერი: AR1943831

თარიღი : 11.01.2023

გაცემის თარიღი : 16.01.2023

გაცნობის თარიღი : 16.01.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ემირ ბურჯანაძის III ჩიხი, N 1ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მუნჯიშვილი პ/ნ 01030031279
- ვაზისუბანი 3 მ/რ. 1 კვ. 1 კორპუსი, ბინა 14

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 25 კუბ.მ-მდე მოცულობის და 2.2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე აუზი, ღია საცურაო აუზი, ჭა და წყარო ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- ინტერაქტიულ რუკაზე ნაცვლად მიწის ნაკვეთისა, განსაზღვრულ იქნეს საპროექტო ობიექტის შესაბამისი ზუსტი ტრაექტორია (ხოლო თუ ვერ ხორციელდება ცვლილება, წარმოდგენილი იქნეს ახალი განცხადება, სადაც თავიდანვე სწორად იქნება მონიშნული საპროექტო ტრაექტორია);
- მოთხოვნის შინაარსი: დაზუსტდეს და განიმარტოს, ვინაიდან საუბარია როგორც გამწმენდ ნაგებობაზე, ასევე სანიაღვრე ქსელზე დაერთებაზე;
- არსებული სიტუაციის ფოტოსურათები: წარმოსადგენია პანორამული ხედებით ამსახველი საპროექტო ტერიტორიის არსებული სიტუაციის ფოტოსურათები (ნაჩვენები იქნეს ის არეალიც, სადაც ასევე გათვალისწინებულია დაერთება);
- არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება:უფლებამოსილების დასტურად წარმოდგენილია მინდობილობის ტექსტი, მაგრამ წარმოდგენი არ არის მინდობილობის თავფურცელი, რომელზეც გამოსახული იქნება სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი და სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი, რაც საკითხის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებას მისცემს, რომ განახორციელოს სანოტარო ტრანზაქცის განხორციელება. შესაბამისად წარმოსადგენია დავით მუნჯიშვილის (პირადი N01030031279), რომლის უფლებამოსილების დასტურად წარმოდგენილი მინდობილობის თავფურცელი, რომელზეც გამოსახული იქნება სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი და სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი, რაც საკითხის განმხილველ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს საშუალებას მისცემს, რომ განახორციელოს სანოტარო ტრანზაქცის განხორციელება / არ განხორციელება სანოტარო რეესტრის ამსახველ ოფიციალურ ვებ-გვერდ notary.ge-ზე;
- ასევე წარმოსადგენია წერილობით გაცემული თანხმობა ყველა იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, ვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზეც უნდა განხორციელდეს სამუშაო (თანხმობაში, ყველა რეკვიზიტისა და ინფორმაციის მითითება უნდა განხორციელდეს ზუსტად და სრულად, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სხვა დანარჩენი დოკუმენტების შესაბამისად);
- დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ასევე სანიაღვრე არსებული არხის (რომელზედაც მოთხოვნილაი დაერთება) მესაკუთრის თანხმობა და ამავე ქსელის საკუთრებისა და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი;

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.